შპს „აღმოსავლეთ საქართველოს
ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“

“Mental Health Center of East
Georgia” LTD

მისამართი: ქ.თბილისი, შ.ნუცუბიძის ქ N14-ბ, ს/კ 243123455 E-mail: ps.hosp@gmail.com; tel: 551333243

N 074 11.07.2019წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ თამილა ბარკალაიას

ქალბატონო თამილა,

თქვენი, 2019 წლის 08 ივლისის #01/12444 მომართვით განსახილველად გადმოგვეგზავნა საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2018 წლის 26-28 სექტემბერს შპს ,,აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯნმრთელობის ცენტრი“-ს ბედიანის ფსიქიატრიულ კლინიკაში განხორციელებული ვიზიტის შემდგომი ანგარიში.

პირველ რიგში გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციების აბსოლიტურ უმრავლესობას ვიზიარებთ და უკვე დაწყებულია და მიმდინარეობს მუშაობა ბედიანის ფსიქიატრიულ კლინიკაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.

გვინდა შეგახსენოთ, რომ შპს ,,აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯნმრთელობის ცენტრ“-ში ცოტა ხნის წინ შეიცვალა დირექტორი და დაწყებულია ლიცენზიით/ნებართვით, ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული პირობების დაცვის მდგომარეობის შესწავლა/შეფასებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების გატარების პროცესი. დარგის სპეციალისტების მიერ მზადდება სხვადასხვა სახის რეკომენდაციები კლინიკის პაციენტთა სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესებისა და სერვისების ოპტიმიზაციის მიზნით ტარდება შესაბამისი ადექვატური ღონისძიებები. მათ შორის შიდა სტრუქტურული ერთეულების, საშტატო შემადგენლობების, ანაზღაურების მეთოდიკისა თუ ოდენობების ცვლილებების, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას ზოგიერთ თანამშრომელთან შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის სახით, რაც მოგვცემს შესაძლებლობას მოხდეს ცენტრის სტრუქტურული და ადმინისტრაციული ადაპტირება თანამედროვე გამოწვევებთან და მოთხოვნებთან, თავიდან ავიცილოთ ის არამიზნობრივი ხარჯები და საწარმოო რისკები რაც შეიძლება გამოიწვიოს სტრუქტურულ ერთეულებზე დატვირთვების არათანაბარმა გადანაწილებამ.

სწორედ ამას ემსახურება ცენტრის დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობა, რომელსაც დაევალა ბედიანის ფსიქიატრიულ კლინიკაში არსებული ვითარების კომპლექსური, დეტალური შესწავლა და მათი აღმოფხვრის გზების თაობაზე ვადაში გაწერილი წინადადებების/რეკომენდაციების წარმოდგენა, რის საფუძველზეც განხორიელდება კონკრეტული ქმედითი ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით.

პუნქტობრივად წარმოგიდგენთ ცენტრის პოზიციას ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების გაზიარებასთან დაკავშირებით და გაწვდით ინფორმაციას მათი შესრულების მიზნით განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

1. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები შეეხება კლინიკაში განთავსებულ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების არსებობას. რის თაობაზეც მოგახსენებთ შემდეგს:

- დაწყებულია და ხორციელდება ახალი კადრების, მათ შორის სანიტრების, მომვლელების, ფსიქოლოგების და სოციალური მუშაკების მოზიდვის აქტიური პოლიტიკა და ამ მიზნით ხდება საზოგადოების აქტიური ინფორმირება დასაქმების შესაძლებლობებისა და არსებული სამუშაო პირობების შესახებ;
- ვგეგმავთ შესაძლებლობის ფარგლებში გავზარდოთ დაწესებულების პერსონალის ანაზღაურება, რათა სამუშაო პირობები გახდეს ხელსაყრელი და უზრუნველყოფილი იქნეს რთული და შრომატევადი სამუშაოს შესრულება;
- დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა ნაწილს მიმდინარე წელს უკვე ჩაუტარდათ ტრენინგები და ვგეგმავთ მისი მაშტაბების გაზრდას რათა მოვიცვათ ყველა დასაქმებული პირი. ტრენინგები ჩატარდება პროფესიული განვითარების, მათ შორის იგეგმება ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადება პირველადი სამედიცინო დახმარების დროული და სწორი აღმოჩენის შესახებ (გულფილტვის რეამინაცია, სისხლდენის შეჩერება და სხვა);
- საწარმოს გააჩნია სატრანსპორტო საშუალებები და მაქსიმალურად შევეცდებით უზრუნველყოფილი იქნეს თანამშრომელთა დაწესებულებამდე ტრანსპორტირების საკითხი.
- გარდა ამისა უკვე დავიწყეთ მუშაობა პაციენტებთან ურთიერთობის დეტალური ინსტრუქციების, კონფლიქტებისა და ძალადობის პრევენციის შემუშავებაზე; პაციენტთა შორის ძალადობისა და უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობის ზედამხედველობის შიდა სისტემის ჩამოყალიბებაზე რითაც სრულად გაკონტროლდება კონფლიქტების, ძალადობის ფაქტების, პაციენტთა სხეულის დაზიანების ფაქტების და ამ ფაქტების საპასუხოდ გატარებული ღონისძიებების სისტემურად აღრიცხვა, ინციდენტის დროის კონფლიქტის მონაწილეების ვინაობის, კონფლიქტის მიზეზების, მიყენებული დაზიანებებისა და მიღებული ზომების მითითებით.

2. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები შეეხება კლინიკაში განთავსებულ პირთა მიმართ ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის მეთოდების გამოყენებას.
   რის თაობაზეც მოგახსენებთ შემდეგს:

- მოკლე ვადაში შემუშავდება და ბრძანებით დამტკიცდება 2019 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული დოკუმენტის - ,,შეზღუდვების, ძალადობისა და იძულებისგან თავისუფალი ფსიქიკური ჯანმრთელობისა და მასთან დაკავშირებული სერვისების შექმნის თაობაზე“ მიხედვით მომზადებული სავალდებულოდ შესასრულებელი გაიდლაინები, სადაც განსაზღვრული იქნება შეზღუდვების, ძალადობისა და იძულების აღმოფხვრის სხვადასხვა სტრატეგიები;
- უკვე გატარდა ღონისძიებები, რომლითაც განხორციელდება სამედიცინო დოკუმენტაციაში ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის გამოყენების მიზეზებისა და გარემოებების ზუსტი აღწერა. პაციენტის მიმართ ფიზიკური შეზღუდვის გამოყენების შემთხვევაში კი ჩანაწერები გაკეთდება როგორც ფიზიკური შეზღუდვის ჟურნალში, ასევე პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციასა და ექთნის დღიურში;

- უკვე გატარდა ღონისძიებები, რომლითაც აღმოიფხვრა ფიზიკური შეზღუდვის სხვა პაციენტების თანდასწრებით, საერთო სივრცეში გამოყენების პრაქტიკა.

3. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები შეეხება კლინიკაში განთავსებულ პირთათვის საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების, თერაპიული უსაფრთხო გარემოს შექმნას.
   რის თაობაზეც მოგახსენებთ შემდეგს:

- უკვე გატარდა ღონისძიებები, რომლითაც ყველა პაციენტი მომარაგებულია პირადი მოხმარების ჰიგიენური საშუალებებით;
- უკვე გატარდა ღონისძიებები, რომლითაც ყველა პაციენტი მომარაგებულია სეზონის შესაბამისი ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით;
- ვგეგმავთ ღონისძიებებს, რომლის განხორციელების შემდგომაც ყველა პაციენტს ექნება პირადი ნივთების შესანახი პერსონალური სათავსო;
- ვგეგმავთ ღონისძიებებს, რომლის განხორციელების შემდგომაც გადაიჭრება მოძრაობის შეზღუდვის მქონე შშმ პირთათვის საპირფარეშოებისა და საშხაპეების ადაპტირების პრობლემა;
- აუცილებლად მიგვაჩნია, ბედიანის ფსიქიატრიული კლინიკის სრული სარემონტო სამუშაოების ჩატარება. ვინაიდან საწარმოს ამის შიდა რესურსი არ გააჩნია აღნიშნული სარემონტო სამუშაოების განხორციელება შესაძლებელი იქნება ,,სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურის სახელმწიფო პროგრამ“-ის ფარგლებში.

4. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები შეეხება კლინიკაში განთავსებულ პირთა სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.
   რის თაობაზეც მოგახსენებთ შემდეგს:

- სრულად ვიზიარებთ საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის შეფასებას. ეს პროცესი დაწყებული გვაქვს და მომავალშიც დაუყოვნებლივ მოხდება სტაციონარიდან ყველა იმ ფორმალურად ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიმღებ პაციენტთა გაწერა, რომლებიც ამას ითხოვენ და რომელთა მიმართაც არ არსებობს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების პროცედურის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი.

5. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები შეეხება კლინიკაში განთავსებულ პირთა ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაციის საკითხებს.
   რის თაობაზეც მოგახსენებთ შემდეგს:

- სრულად ვიზიარებთ საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის შეფასებას. ეს პროცესი დაწყებული გვაქვს და მომავალშიც დაუყოვნებლივ განხორციელდება სტაციონარში ექვს თვეზე მეტი ხნით მოთავსებული პაციენტების საჭიროებების შეფასება მათი დაწესებულებიდან გაწერის და სათემო სერვისებზე გადამისამართების პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

6. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები შეეხება კლინიკაში სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, მათ შორის ფსიქიატრიული შემთხვევის მედიკამენტებით მართვის (ფარმაკოთერაპია), სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების, სომატური (ფიზიკური) დაავადების მკურნალობის, სამედიცინო მომსახურბის შეუფერხებელი მიწოდების საფრთხეების, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, ფსიქოლოგიური და სოციალური მომსახურების საკითხებს.
   რის თაობაზეც მოგახსენებთ შემდეგს:

- სრულად ვიზიარებთ საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის შეფასებას.ცენტრში გატარდა ღონისძიებები, რის შედეგადაც პაციენტებს რეგულარულად მიეწოდებათ

მკურნალობის შესახებ ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე და ეს განიხილება როგორც თერაპიული პროცესის შემადგენელი ნაწილი;

- დაწესებულების სამედიცინო პერსონალი პატივისცემით ეპყრობა პაციენტის უარს მკურნალობაზე. ამასთან პაციენტის მკურნალობაზე დაყოლიების მიზნით აწვდის მას დეტალურ ინფორმაციას მკურნალობის მნიშვნელობაზე, მედიკამენტების გვერდითი ეფექტებისა და მათი მართვისთაობაზე;
- დაგეგმილი გვაქვს მედიკამენტების გვერდითი მოვლენების მართვის მიზნით უზრუველყოფილი იყოს აგრანულოციტოზის, ნივთიერებათა ცვლის პროცესების და განსაკუთრებით ჰიპერგლიკმიის განვითარების რისკის კლინიკურ-ლაბორატორიული შეფასება და კონტროლი;
- გატარებული ღონისძიებების შედეგად უმოკლეს ვადაში სამედიცინო ბარათები აიკინძება თანამიმდევრულად, სამედიცინო ბარათებში ჩაიდება პაციენტის როგორც ფსიქიკური, ასევე სომატური ჯანმრთელობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია;
- გატარებული ღონისძიებების შედეგად პაციენტებისათვის დროული და ადექვატური სტომატოლოგიური მომსახურების მიწოდება ხდება ექიმ სტომატოლოგის დაწესებულებაში ყოფნის ან სტომატოლოგთან დროული ტრანსპორტირების გზით;
- ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულია რეფერალურ ქსელსი ჩართულობის გეგმა, რომელიც ხორციელდება ყველა საჭირო შემთხვევაში;
- დაიგეგმა ღონისძიებები რათა კლინიკაში მოხდეს სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტთა კერძოდ, ოკუპაციური (ერგოთერაპია) თერაპევტის დასაქმება ან არსებული კადრის (შრომათერაპევტის) გადამზადება ოკუპაციურ ერგოთერაპიაში; ფსიქოლოგის რესურსის გამოყენება ფსიქოთერაპიასა და და არტთერიაში, ასევე ფსიქოლოგის დამატება, რომელსაც გავლილი ექნება შესაბამისი სწავლება არტთერაპიასა და ფსიქოთერაპიაში;
- უმოკლეს ვადაში უნდა გადაიჭრას სოციალური მუშაკის პრობლება და ვაკანსია შეივსება კვალიფიციური სპეციალისტით;
- დაგეგმილი გვაქვს უმოკლეს ვადაში მოხდეს პაციენტებისათვის ახალი, გონივრული დღის განრიგის შედგენა სადაც გათვალისწინებული იქნება დასვენებისათვის და გართობისათვის საჭირო აქტივობები. იგეგმება გასართობი ღონისძიებების ორგანიზება. მოხდეს ფსიქოლოგის ინდივიდუალური სამუშაო მაგიდითა და კომპიუტერით უზრუნველყოფა. კლინიკაში საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #68 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტექნიკური რეგლამენტი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სტანდარტების შესახებ“ (მუხლი 4და მუხლი 6) შესაბამისი სივრცეების მოწყობა;
- მიმდინარეობს მუშაობა ბენეფიციართა სოციალური პაკეტის განკარგვის გამჭირვალე პროცედურის გაწერაზე.
- ცენტრში სამუშაოდ მოწვეული იქნა მაღალი კვალიციკაციის ნუტრიციოლოგი, რომელიც მონიტორინგს უწევს და ადგენს ბენიფიციართა მენიუს შესაბამისი კალორაჟის გათვალისწინებით.

7. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები შეეხება კლინიკაში განთავსებულ პაციენტთა კვების ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.
   რის თაობაზეც მოგახსენებთ შემდეგს:

- ცენტრში გატარებული ღონისძიებების შედეგად პაციენტების კვებით უზრუნველყოფას ახორციელებს სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებული კომპანია, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პაციენტთა კვების საკითხი. გაუმჯობესდა მენიუს ასორტიმენტი, მომსახურების ხარისხი;
- კლინიკაში ტარდება ღონისძიებები, რომლის შედეგადაც უმოკლეს ვადაში პაციენტებს შეეძლებათ სასმელი წყალი აიღონ სუფთა და ჰიგიენურ გარემოში.

8. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები შეეხება კლინიკაში განთავსებულ პაციენტთა გარე სამყაროსთან კონტაქტთან დაკავშირებულ საკითხებს.
   რის თაობაზეც მოგახსენებთ შემდეგს:

- ვგეგმავთ კლინიკაში მოეწყოს კეთილმოწყობილი პაემნის ოთახები, სადაც კლინიკაში განთავსებული პაციენტები შეხვდებიან ოჯახის წევრებს და ახლობლებს.;
- კლინიკაში გათავსებულ პაციენტებს მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია მათი უფლებების, მათ შორის მიმოწერის უფლების თაობაზე. დაგეგმილი გვაქვს ღონისძიებები რომლითაც კიდევ უფრო გაუმჯობესდება ვითარება ამ მიმართულებით;

9. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები შეეხება კლინიკაში განთავსებულ პაციენტთა შორის კომუნიკაციის აკრძალვასთან დაკავშირებულ საკითხებს.
   რის თაობაზეც მოგახსენებთ შემდეგს:

- სრულად ვიზიარებთ საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის შეფასებას. ცენტრში გატარდა ღონისძიებები, რის შედეგადაც აღმოფხვრილია ქალ და მამაკაც პაციენტებს შორის კომუნიკაციის აკრძალვის ზოგადი და დაუსაბუთებელი პრაქტიკა.

შპს ,,აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯნმრთელობის ცენტრი“ ყველაფერს აკეთებს და მომავალშიც გააკეთებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადაში მოხდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა და შემუშავებული რეკომენდაციების სრულად შესრულება.

პატივისცემით, შპს „აღმოსავლეთ საქართველოს
ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ დირექტორი გიორგი გულაშვილი